საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება N224

22 სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

# „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის №118 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1
„მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის №118 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 02/05/2014, 360160000.22.023.016242) დამტკიცებულ მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დანართი 1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა კონტროლის დეპარტამენტი (ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების უფლების მქონე ქვედანაყოფი) მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემასთან დაშვების ნებართვა.“

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — გიგლა აგულაშვილი